საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა ხარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 372

კვირა, დეკემბრის 17 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული: დედა ლიპა, რძალი, ლუკა და ძმები კოტე და გრიშა ალექსანდრეს ძენი და ივდითი ადამიები აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებთ ძვირფასისა და მარად დაუვიწყარის

**ელენე ალექსანდრეს ასული ადამიას**

უდროვოდ გარდაცვალებას. ცხედარი მოთავსებულია რკინის გზის საავადმყოფოს ეკვტერში, მალაკანის ქუჩაზე. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 17 დეკემ. დილის 11 საათ. 210 1—1

**● რუსთაველის თეატრი ●**

სახელმწიფო აკადემიური დრამა

კვირას 17 დეკემბერს

**ცხვრის წყარო**

დადგმა კ. მარჯანიშვილისა

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 717. 1—1

ორშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ამხანაგ კომის შენობაში დანიშნულია

**კომუნალური განყოფილების, შინაგან მმართველობის მ. დ გ. ინ.**

განყოფილებათა ხუჯეიების სხდომა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ თავის დროზე.

3—3 მდივანი ხუნდაძე.

სახელმწიფო კონსერვატორია

ოთხშაბათს დეკემბრის 20-ს

საღამოს 8 საათზე

**ჯაზას საღამო**

დევიზი: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოდ რისადა?"

1. სიტყვები: კ. გამსახურდია:—ვაჟა ფშაველას კოლუმბი. არისტო ქუმბაძე:—ვაჟას პროზა.
2. ვაჟას—ნ. ფაშალიშვილი (ლექსი)
3. ვაჟას ლექსებს წაიკითხავენ: ალექსანდრე იმედაშვილი, ა. ვასაძე, თ. ჭავჭავაძის ასული, ს. ფაშალიშვილი, ტ. გრანელი, კ. გამსახურდია, არისტო ქუმბაძე.

ბილეთების ფასი 500—20 ათასამდის.

P. S. ტეხნიკური დაბრკოლებების გამო ეს საღამო სამშაბათიდან ოთხშაბათისთვის გადაიდო.

1—1

**ტფ. მუშათა დ წითელ არმიელთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის**

სავალდებულო დადგენილება № 20

უკანასკნელ დღეებში ბოროტგანზრახვით გავრცელებულ სხვადასხვა ხმების გამო ქალაქში ადგილი ქონდა პანიკას, რამაც გამოიწვია ოქროს ფულის გაძლიერებული შესყიდვა, სხვადასხვა საქონლის შესყიდვა დ ფასების აწევა.

ტფილ. ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ ყველა პასუხისმგებელ ორგანიზაციების მიერ მიღებულია და მომავალშიაც მიღებულ იქნება მთელი რიგი ზომებისა, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნულ პანიკის ლიკვიდაციისაკენ, რომ ამ ჟამად მდგომარეობა ბირჟაზე და ბაზარზე უკვე შეიცვალა და გაუმჯობესდა, რომ ამიტომ მცხოვრებს აღარ უნდა ეშინოდეს ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობის გამო.

რადგან, ზოგიერთი კერძო ვაჭრები და მწარმოებლები სარგებლობენ რა გარემოებით, სარგებლიანობის და სპეკულიაციის მიზნით ხელოვნურად უწყობენ ხელს შექმნილ პანიკას დუქნების დახურვით, საქონლის გადამალვით და სხვა, ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1) ყველა ის პირნი, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან ყალბი ხმების გავრცელებაში, რომელიც პანიკას გამოიწვევს, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი რევოლიუციონური კანონების მიხედვით.

2) ყველა ის მოვაჭრეები, რომელნიც კეტავენ თავის მაღაზიებს და დუქნებს, მალავენ თავის საქონელს, ხწევენ ფასებს და სხვა, აგრეთვე სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი მთელი ქონიბის კონფისკაციით და ვაჭრობის უფლების წართმევით.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე

მდივანი ხუნდაძე

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**

„უ. ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა" შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 ს. დილის და 5—7 ს. საღ.

ზუბუთოვის ქუჩა № 23. 35

## სპეკულიაციის გათავხედება

ამ უკანასკნელ დღეებში ბაზარზე საქონლის ფასებმა საზღაპროდ აიწია. სურსათ-სანოვაგე ერთი ათად გაძვირდა. ეს გარემოება გამოიწვია ხელოვნურის გზით და საშუალებით სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტებმა. აშკარაა, ამ გაძვირებას არ ქონდა არავითარი ბუნებრივი საფუძვლები. მისი მიზეზი სპეკულიაციის საიდუმლოებაში მარხია უსათუოდ.

საზოგადოდ. სიძვირეს იწვევს სურსათ-სანოვაგის კრიზისი, როდესაც მოთხოვნილება დიდია და პირველ საჭიროების საგნების მოწოდება მეტად მცირე.

დღეს ჩვენს ბაზარზე ქონდა ადგილი ასეთ გარემოებას? ცხადია არა. ჩვენში საქონლის ნაკლებობა არაა. პურის მოსავალი დიდი იყო. პური მუდამ დღე მოდის საბჭოთა რუსეთიდანაც. მიუხედავად ამისა პურის ფასი ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ გაიზარდა. დიახ, აქ სურსათ-სანოვაგის კრიზისი არავითარ შუაშია. ამით ვერ იმართლებენ თავს წუწურებლა სპეკულიანტები.

საბჭოთა ხელისუფლებამ დროზე მიიღო ზომები ცხოვრების გაძვირების ხელოვნურის მეთოდით გამოწვევის წინააღმდეგ ზომები მეტად ენერგიული. დღეს ბაზრის კრიზისი უკვე ნელდება და ნაწილობრივად სავსებით მინელებულია. პურის ფასები ნორმალ კალაპოტში მოექცა. შეპყრობილია, სხვა პროდუქტების ფასებიც დაეცემა. უცხოეთის ვალიუტის კურსის ჩამოწევა ამის უეჭველი სიმპტომია.

ცხოვრების გაძვირებამ ბევრ ბნელ ელემენტებს აღუძრა შავი იმედები. მომავლის შავი პერსპექტივა ახატა მათ ცნობიერების შინაგანში. მართალიაც კონტრრევოლიუციის დასაყრდენობი ყავარჯენი ბაზრის კრიზისია. თუ გლეხს მოაკლდა ნავთი და ჩითი, ხოლო ქალაქის მუშებს და ჯარისკაცებს პური, აუცილებლად საშინელი შედეგების წინაშე წავრსდგებით. ყოველნაირ ჯურის რეაქციონერი მოიმარჯვებს ხელში შექმნილ გარემოებას და შეუდგება მღვრიე წყალში თევზების ჭერას. ამიტომ საფუძველი ჰქონდა შავრაზმელთა ბანაკში არსებულ ფუსფუს, რომ ეკონომიური კრიზისი პოლიტიკურ კრიზისსაც გამოიწვევს.

სპეკულიანტურ ჯგუფებს მარტო ფინანსიური ინტერესები არ აწუხებს. მათი ინტერესი პოლიტიკური ხასიათისაც არის. როდის შეუძლია სპეკულიაციას განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწიოს, თუ არა მშრომელთა კლასის ბატონობის დამხობის შემდეგ?

საბჭოთა ხელისუფლების რკინის პოლიტიკამ ძირ-ბუდიანად აღმოფხვრა დამის ჭოტების შავი იმედები. სპეკულიაციის გათავხედება სპეკულიაციისვე დასაღუპავით სრულდება. ქართული ბონის კურსი იწევს, ჩარჩ-ვაჭრების და სპეკულიანტების სქელი ჯიბეები კვლავ გათხელდება. რას ფიქრობს ახლავე ის ხალხი, რომელიც მოშხამულის ენით სისინებდა: საბჭოთა რეჟიმმა დაგვღუპა, ახალი ფულის გამოშვებამ ჩვენს ცხოვრებას ოროო გაუთხარა და სხვა? მშრომელთა კლასი არას დროს არ აყვება ნაძირალების ქვენა გრძნობებით ნაკარნახევ აზრებსა და ზრახვებს!

სპეკულიაციის შემოტევის დამარცხება საუცხოვო ილიუსტრაცია საბჭოთა სისტემის, მშრომელთა კლასის დიქტატურის ძლიერი ნების და სულისკვეთების. უნდა იცოდნენ ჩვენი ცხოვრების ნაძირალებმა, რომ საბჭოთა ფიქტიური ბუნება და მთელი მისი სიმკაცრე მიმართულია მშრომელი ხალხის დაუძინებელ მტრების წინააღმდეგ.

## ლოზანას კონფერენცია

**მდგომარეობა გამოკეთდა.**

ლონდონი, 16 დეკ. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის ქვე-კომისიაში მიღწეულია შეთანხმება, რომელიც გაგრძელდა სხდომის დაბოლოებამდე. მოლაპარაკების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ნაუენი, 16 დეკ. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ ლორდ კერზონისადმი ისმეტ-ფაშის მორიგებითი პასუხის და ზავის ჩამოგდების შემდეგ ერთა ლიგაში შესვლაზე ოსმალეთის თანხმობის გამო, მდგომარეობა ლოზანაში ცოტათი გაუმჯობესდა.

ბორდო, 16 დეკ. ყველა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კონფერენცია ადგება ახალ გზას. ნდობა აღდგენილია და ზავი დღეიდან უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

**როდის მოაწერენ ხელს საზავო ხელშეკრულებაზე.**

ბორდო, 16 დეკ. „ტან"-ის აზრით შესაძლებელია ზავზე ხელის მოწერა მოხდეს 15 იანვარს.

**ლონდონის პრესის აზრი**

ლონდონი 16 დეკ. ლონდონის გაზეთები მოწინავე წერილებში ესალმებიან გამარჯვებას, რომელსაც მიაღწიეს მოკავშირეებმა ლოზანაში უმცირესობათა საკითხში. გაზეთები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ოსმალეთი თანახმაა ითხოვოს მისი ერთა ლიგაში მიღება და მიიღო უკანასკნელის კონტროლი ეროვნულ უმცირესობაზე. ოსმალეთის თანხმობას აწერენ იმას, რომ ლორდ კერზონის მტკიცე პოზიციას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის და იტალიის დელეგაციებმა, გაზეთები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ სხვა საკითხებშიც მოსჩანს მდგომარეობის გაუმჯობესება.

ანგორა 14 დეკ. „ენი გიუნ"-ის ცნობებით 13 დეკემბერს ქემალ-ფაშამ მიიღო ლოზანიდან დეპეშა ლორდ-კერზონის, ბარერის და გარონის მიერ ხელმოწერილი სტამბოლის მდგომარეობის საკითხის შესახებ. ქემალ ფაშამ დეპეშით აცნობა პასუხი მინისტრებს, რომელშიაც შეჰპირდა, რომ ის აცნობებს ამ საკითხის გამო ანგორის მთავრობის მიერ მიღებულ ზომების შესახებ.

**ინგლისის ჰაეროპლანები**

ანგორა 13 დეკ. ინგლისის ჰაეროპლანები ყოველდღე ყუმბარებს უშვებენ ქალაქ რაიდს, მემურს, დერბენტს, ზილბარს (მოსულის ვილაეთი) ცეცხლის გაჩენ მაზნადებით. ინგლისელები ანგრევენ მთელ რიგ ქალაქებს და ათასობით მცხოვრებლები ცისქვეშ რჩებიან—საუბარი თით მარაგი ნადგურდება.

## ლონდონის კონფერენცია

მოსკოვი. 16 დეკ. გერმანიის პრესამ სიამოვნებით მიიღო ცნობა სარეპარაციო საკითხების გადაწყვეტის გადადების შესახებ. როგორც სოციალ-დემოკრატიული ისე დემოკრატიული პრესსა... (გამოტოვებულია) რეპარაციების სიმძიმეს გადაიტანს მსხვილ ინდუსტრიის წარმომადგენლებზე.

„ფოსიშე ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა მსხვილი ინდუსტრიის დაბეგვრა სარეპარაციო გადასახადების სასარგებლოდ საკანონმდებლო გზით.

სტინნესის პრესა, წინააღმდეგ, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მსხვილი ინდუსტრია გამოფიტულია, და მასზე სარეპარაციო გადასახადების გადატანის ცდას უწოდებს „მარქსისტულ ბოდვას"—საფრანგეთის პრესა არ არის კმაყოფილი ლონდონის კონფერენციის შედეგით. „ჟურნალ ინდუსტრიალი" აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების დროებით შეწყვეტა არის დიდი გამარჯვება ბონარ ლოუსი, რომელმაც აიძულა საფრანგეთი სარეპარაციო საკითხების გადაწყვეტა გადაედო ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გამორკვევამდე.

— იტალიის პრესა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლონდონის კონფერენციის დროებით შეწყვეტის გამო.

„ჟურნალ დისომო" სწერს: „ლონდონის კონფერენციამ დაგვანახა, რომ სარეპარაციო საკითხში მოკავშირეთა შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი უარს იტყვის რურის ოლქის ოკუპაციისაგან.

**ეროვნული უმცირესობანი.**

მოსკოვი. 16 დეკ. ლოზანიდან მოსულ ცნობის მიხედვით, კონფერენცია 12 დეკემბერს შეუდგა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხის განხილვას. კერზონმა სთქვა, რომ უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში ოსმალეთიდან გადასახლდა 900.000 ქრისტიანი. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გადასაწყვეტად ლორდ კერზონმა მოითხოვა უკანასკნელ 9 წლის განმავლობაში ოსმალეთის ქრისტიანების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა პატიება, დასავლეთ თრაკიაში მოსახლე ოსმალთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლება; მათთვის ბინადრობის თავისუფლების მინიჭება და სტამბოლში და საბერძნეთში ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ სპეციალურ ორგანოების დაარსება უმცირესობათა უფლებების დასაცავად.

ისმეტ ფაშამ კერზონის საპასუხოდ განაცხადა, რომ ერთა ბიგო მიეღოს უცხოეთის ჩარევას ოსმალეთის საქმეებში, და ამიტომ მას არ შეუძლია მიიღოს კერზონის წინადადება.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კერზონმა ამერიკის წარმომადგენლის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის და სერბიის დელეგატების თანხმობით განაცხადა, რომ თუ ოსმალეთის დელეგაცია ეროვნულ უმცირესობათა საკითხში დათმობის გზაზე არ დადგება, მოკავშირენი იძულებული იქნებიან შესწყვიტონ კონფერენციის მუშაობა და დატოვონ ლოზანა.

**სომხების ეროვნული კერა.**

მოსკოვი. 17 დეკ. კერზონმა აღნიშნა ოსმალეთში სომხების ეროვნულ კერის შექმნის აუცილებლობა.

## ახალი ამბები

**შრომის სახ. კომისარიატში.**

— შრომის დაცვის განყოფილების მოქმედება ნოემბერში.

— შრომის ინსპექტორების, მათი ასისტენტების, ტეხნიკურ და სანიტარულ ინსპექტორთა შემადგენლობით—მოხდა 3 სხდომა, რომელზედაც გაირჩა 23 საკითხი.

— განყოფილების მიერ დამთავრებული იქნა სახალხო სასამართლოს დროებითი სესიის მოწყობისათვის საორგანიზაციო მუშაობა. სესიას გადაეცა განსახილველად 35 საქმე, რომლიდან 3—სახელმწიფო დაწესებულებებს ეკუთვნის, დანარჩენი კერძოს.

— წარმოება—დაწესებულებებში შემოღებულ იქმნა ინსპექტორების მიერ წარმოებულ რევიზიის და მოზარდთ შესახებ ჩასაწერი წიგნები, და ზედმეტი სამუშაოს აღმნიშვნელი წიგნი.

— ნოემბრის პირველ რიცხვიდან დანიშნულ იქნა შრომის ინსპექტორთა 3 ასისტენტები, რომელთაც მიეცათ სათანადო ახსნა-განმარტება და მასალები სწორ მუშაობის წარმოებისათვის.

— ნოემბერში გაგზავნილ იქმნა ერთი შრომის ინსპექტორი ბათომის, ფოთის, ქუთაისის და ჭიათურის შრომის ინსპექტორთა საინსტრუქციოთ. ამასთანავე სახალხო ნაბმის შრომის ინსპექტორის მიერ დათვალიერებულ იქმნა რესპუბლიკის სახალხო ნაბმის ყველა პუნქტები, გარდა ჭიათურისა და ტყიბულისა (გზის გაფუჭების გამო).

— წარმოება-დაწესებულებანი დათვალიერებულ იქნა 361—ჯერ, რომლიდან 188 დათვალიერება ეკუთვნის შრომის ინსპექციას, 97—სანიტარულს და 76—ტეხნიკურს.

დათვალიერებულ წარმოება-დაწესებულებათა რიცხვში უფრო მეტ რიცხვს წარმოადგენს წვრილი წარმოებანი (69,6 პროც.), ხოლო მსხვილი მრეწვე-

ლობანი კი (30,4 პროც.). სახანგარიშო თვეში განყოფილების მიერ გარჩეულ იქმნა შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის—74 ოქმი, აქედან 64—ქუთაისის კერძოს, ხოლო 10 სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს. აქედან სამუშაო დროის დარღვევისათვის.

— შედგენილია 30 ოქმი, დამქირავებელთა პროცენტო ანარიცხების შეტანლობისათვის—24, დამე მუშაობისათვის—38, სახანგარიშო წიგნების არ შეძენისათვის—27, შრომის ხელფასის დარღვევისათვის 19 შრომის ბირჟას გვერდზე მუშამოსამსახურეთა მიღებისათვის—18, სანიტარულ-ტექნიკური ხასიათის დარღვევისათვის—6, და რვა საათის სამუშაო დღის გაუტარებლობისათვის—8. 74—საქმიდან 35—საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს სესიას, 4—დაპატიმრებული იქმნა, ხოლო 35—დაჯარიმებული.

ამინისტია. ნოემბერში პროლ. რევოლუციის 5 წლის დღესასწაულის გამო საქ. ც. ა. კ. მიერ გამოცემულ ამნისტიით 7 ნოემბრამდე—შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემული 120 კაცი განთავისუფლებული იქნება.

— უბედური შემთხვევები იყო 10, რომლიდან 2 გარდაიცვალა, ხოლო 8 დასახიჩრდა.

— მოხსენება უნივერსიტეტში. სამშაბათს, დეკემბრის 19-ს პირველ აუდიტორიაში ამხ. ალ. ბარამიძე გააკეთებს მოხსენებას: თეიმურაზ პირველის პოეზია. დასაწყისი საღ. 7 საათზე „ისტ.-ლიტერ.“ წრის გამგეობა.

— გამოფენა. კვირას, 17 დეკემბერს სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ წრის მუზეუმში მოხდება, მორიგი (წლიური) სასოფლო სამეურნეო გამოფენის საზეიმო გახსნა. გამოფენისათვის მიღებულია ნიმუშები საქართვ. ყველა კუთხეებიდან, გამოფ. გაგრძელდება ერთ კვირას. შესვლა ყველასათვის უფასოა.

— ორშაბათს 18/12 საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლუბნის ქ. № 8) ამხ. კიკვაძე გააკეთებს მოხსენებას. თემა: ქართული შრიფტი.

## საქალაქო აღწერის შედეგები ტფილისში

ქალაქ ტფილისის მოსახლეობის აღწერა დამთავრდა 4 დეკემბერს. ამ დღისვე ოხდა წინასწარი შეჯამება; შედეგები შემდეგია: სულთა რაოდენობა უდრის—61.012; ბინების—7.957; სახლკარის—3 143.

საღწერო რაიონებში ეს რიცხვები განაწილდება შემდეგი წესით:

1 რაიონი (1 სამილ. უბ.) საპირადო ფურცელი—9366; ბინის—1001; სახლკარი—336.

2 რაიონი (2 სამილ. უბ.) საპირადო ფურცელი—7904 ბინის—1010; სახლკარის—437.

3 რაიონი (3 სამილ. უბ.) საპირადო ფურცელი—15813; ბინისა 1876; სახლკარის—697.

4 რაიონი (4 სამილ. უბნის ნაწილი); —საპირადო ფურც. 1107-; ბინის—1503 სახლკარის 384.

5 რაიონი (4 სამილ. უბ. ნაწ კრიპი) საპირ. ფურცელი—3729; ბინის—835; სახლკარის—550.

6 რაიონი (5 სამილ. უბ. და ნაწილი სამ. უბნის და რკ. გზის მხარეს) საპირადო ფურც.—6465; ბინის—986; სახლკარის—410.

7 რაიონი (გორადოკი, ბარცხანა) საპირადო ფურც.—4447; ბინის—592 სახლკარის—314.

8 დამატებით (ქალ. ხაზში) რკინის გზის ხაზზე სად. კომუნლეთამდის რონოდებში (ვაგონებში) და სადარაჯო მუდებში მყოფნი; აგრეთვე ისინი, ვინც ღამე 30 ნოემბერს გაათიეს სადგურებზე, ნავთსადგურებში; გემებზე, ფელუგებზე და ნავებზე; აგრეთვე მოთავსებულნი ინტერნატებში, საავადმყოფოებში, სატუსაღოებში და სხვა). ფურცელი—216; ბინის—154; სახლკარის—145.

სულ ფურცელი 61.012; ბინის—7.957 სახლკარის—3 143.

შენიშვნა: საპირადო ბარათების რიცხვში შედის 406 საპირადო ბარათი, შედგენილი იმ უსახლკარო და უბინაო პირებზე, რომელთაც 30 ნოემბერს ღამე ვინც გაათიეს ქალაქის ქუჩებში, სამხედრო ნაწილი აღწერაში არ შედიან.

წინანდელი აღწერებთან შედარებით ეხლანდელი აღწერა წარმოგვიდგენს შემდეგ სურათს

აღწერა 1890 წ. ივნისის—13891 სული,—მომატება უდრის—46121 სულს (309,79 პრ.)

აღწერა 1917 წ. ივლისის—35048 სული,—მომატება უდრის—25964 სულს (74,08 პრ.)

აღწერა 1918 წ. აპრილის—15375 სული,—მომატება უდრის 45637 სულის (296,82 პრ.)

აღწერა 1920 წ. აპრილს—45446 სული,—მომატება უდრის 15566 სულს (34,25 პრ.)

აღწერა 1921 წ. თებერვ.—34885 სული,—მომატება უდრის 26127 სულს (74,89 პრ.

შენიშვნა: 1918 წელში აღწერა მოხდა ოსმალთა ბატონობის დროს; 1920 წელში აღწერა მოხდა ინგლისელების დროს; 1921 წელში მენშევიკურ მთავრობის დროს; მცხოვრებთა რაოდენობა გამოანგარიშებულია საარჩევნო აღწერასთან შეკავშირებით.

შესანიშნავია ციფრები, რომელნიც ნათლად გვიხატავენ მოსახლეობის არანორმალურ ზრდას, ქალაქის ზედმეტი დატვირთვას და ბინებში მცხოვრებთა სიმჭიდროვეს.

1-ლი რაიონი—ერთ ბინაზე 6.36 სული; მესამე რაიონი—8 43 სული; მეორე რაიონი—7.8 სული; გორადოკი, ბარცხანა—7.5 სული; მეოთხე რაიონი—7.37 მეშვიდე რაიონი—7.51: მეექვსე რაიონი 6 56 და მეხუთე რაიონი (კრიპი)—4.46 სული.

თუ მხედველობაში მივიღებთ წინასწარი აღწერების ჯამებს, საბოლოო ციფრის აზიით, მიმდინარე აღწერის ჯამები იძლევა სრულიად დამაკმაყოფილებელ მასალას და ამ მხრივ აღწერის შედეგები აღემატება ყოველგვარ მოლოდინს.

ხოლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება დამატებითი ცნობები საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების, ოთახების რაოდენობის, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვის, ქალაქ ტფილისიდან დროებით გასული მცხოვრებთა, სახეზე მყოფი მოსახლეობის და სხვათა შესახებ.

აღწერის მასალების სავსებით დამუშავება განზრახულია ადგილობრივად ქ. ტფილისში, რისთვის იქნება შემუშავებული ცალკე შტატი; მუშაობა უნდა იქნეს ორ მორიგეობით. მასალის დამუშავება მოითხოვს არა ნაკლებ 5 თვისა. ამ ქამით რაიონულ გამგეები და კონტროლიორები ღებულობენ აღწერის მასალას და არჩევენ ქალაქის მოსახლეობის კვების გამოსარკვევად საუკეთესო აღმწერლებს, რომლებმაც ამ აღწერაში უფრო გამოიჩინეს თავი—საინსტრუქციო მუშაობა გაგრძელდება ორ დღეს. კვების გამოკვლევა მოხდება ბინების მექანიკური შერჩევით, თვითეულ ორმოცდა ათ ბინაზე (50) ერთი ტიპიური ბინის.

აღწერის წინასწარი ჯამები 4 დეკემბერს სასწრაფოდ ეცნობა თბილისს.

საპირადო ფურცელი, რომელიც სდებობდა თვითეულ სულზე, შეიცავდა 23 კითხვას; ბინის ფურცელი,—21 კითხვას და სახლკარის—16.

აღმწერლები ახდენენ თავიანთი ნამუშევარის შედარებას საკონტროლო ფურცლების მიხედვით.

„ბრძოლა“.

## საჭიროა მეტი ყურადღება

მალე ორი წელი შესრულდება, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

ახალმა ხელის უფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია იმ უპატრონო ბავშვებს, რომელნიც მრავლად მოიპოვებოდენ ჩვენს დედა ქალაქის ქუჩებში.

არა ერთი და ორი უპატრონო ბავში გამხდარა მსხვერპლი სიმშილის და სიცივის· ამ მხრით მთავრობამ სათანადო ნაბიჯი გადადგა მან მოაწყო უპატრონო ბავშებისათვის სახლები, სადაც რამოდენიმე ათასი ბავში იზრდება სახელმწიფო ხარჯზე· აგრეთვე დაარსდა სპეციალური კომისია, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ყურადღების მიქცევა უპატრონო ბავშვებისადმი.

ერთი სიტყვით ამ კომისიის მოვალეობას შეიცავს შემდეგი: ყველა ის ბავშვები, რომლებიც დღეს ქუჩებში ნახევრად შიშველნი და ტიტველები დაიარებიან უნდა იქმნან მოშორებული ქუჩებს და აღზრდილნი საბავშვო სახლებში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა ჩვენი დედა ქალაქის ქუჩები პირდაპირ საშინელ სურათს წარმოადგენს.

ყველგან კუთხეში, ქუჩებში ტრამვაის ვაგონებში, ხიდის ყურეებში საზარელი წუწუნი გაისმის უპატრონოდ დარჩენილ ბავშვების.

საჭიროა მეტი უნარის გამოჩენა. საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკცეთ უპატრონო ბავშთა საკითხს. ამით გავაკეთებთ დიდ საქმეს და არ მივცემთ საშუალებას ჩვენს მტრებს გამოიყენონ საპროვოკაციო ფაქტათ ისეთი უბრალო საკითხები, რომლის მოგვარება არც ასე ძნელია.

გრაფო.

## საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირში

ოცდა ხუთი თვე სრულდება მას აქეთ, რაც დაარსდა ზემოხსენებული კავშირი და ამ ხნის განმავლობაში ტფილისის მუშა-ხელოსნები მუხლმოდრეკილნი შესჩივიან თავიანთ პროგრამაზე, როგორც პირადად, წარმომადგენლების სახით, აგრეთვე პრესის საშვალებითაც, მაგრამ მათი ხმა ძველებურად რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, მეორე დელეგატთა კრებაზე, კავშირის თავმჯდომარემ დელეგატებს აცნობა ერთი სასიხარულო ამბავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტმა უკვე გამოჰყო სადარაბო სექციიდან განსაკუთრებული კომისია მუშა-ხელოსნების სადარაბო საკითხის მოსაგვარებლად, სადაც დამოუკიდებელ კავშირიც აგზავნის თავის წარმომადგენლებსო. რასაკვირველია, კავშირმა გაგზავნა თავის წარმომადგენლები, მაგრამ ისინი ისევ უკან დაბრუნდნენ, რადგან მათთვის არც კი მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება და ტფილისის ხელოსნები კვლავ ძველებურად განაგრძობენ მღვმას და კვლავ ძველებურად მიმდინარეობს დუქნების ბეჭდვა მძიმე გადასახადების გამო. დახმარებას ვინდა დაუძებს ხელოსნებისათვის ჯერაც არ დაუმტკიცებიათ უსაფრთო წართმეულ კლუბი ყველამ იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ხანაში კლუბს· იგი არის ეგრეთ წოდებული ხიც, საგანმანათლებლო დაწესებულებაც და გასართობიც. ტფილისის ხელოსნები კი ყოველივე ამას მოკლებულნი არიან და არავინ იწუხებს თავს, სხვა რომ არა იყოსრა, ხელოსნების რევოლუციონურად აღსაზრდელად. მუშა-ხელოსნები ჯერაც არ სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით. კავშირმა აღძრა შუამდგომლობა გაზეთის გამოცემის შესახებ და ამას ნებასაც არა რთავენ, რადგაც მიზეზების გამო. იბადება აქ კითხვა, რა საჭირო იყო მუშა ხელოსნების ბურჟუა-ხელოსნებისაგან გათიშვა, თუ კი პირველნი არავითარ შეღავათს არ მიიღებდნენ. რა მიზანი აქვს კავშირის არსებობას, თუ მას არ ექნება კლუბი, ბეჭდვითი ორგანო და არჩევნების უფლება. საჭიროა არის რომ უმაღლესმა მთავრობამ გამოსცეს დეკრეტი მუშა-ხელოსნების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომელიც მთელ რესპუბლიკის ფარგლებში გავრცელდება და მის ცხოვრებაში გატარება დაევალება ზემოხსენებულ კავშირს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მდგომარეობას დროზედ მიაქცევენ ყურადღებას.

საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანი

ვარლამ ზღაიძე.

## ხელოვნება

ახალი პიესა. ამხ. ამბროსიო იობიძეს დაუწერია ახალი ორიგინალური პიესა, ტრაგედია 3 მოქმედებით „ფრიდონ“, რომელიც ზოგ საზოგადო მოღვაწეს და თეატრთან ახლო მდგომ პირთაგან მოწონებული ყოფილა. ამ დღეებში ეს პიესა გადაეცემა სახელოვნო ცენტრს—დასადგმელად.

გ. ქუჩიშვილის საღამო. ოთხშაბათს, 20 დეკემბერს, წითელ არმიელთა კლუბში (ყოფილი ქართული კლუბი) გაიმართება გ. ქუჩიშვილის საღამო ფართო პროგრამით.

## მოწერილი ამბები

აჭარის ჯანმრთელობის კომისარიატის გარშემო.

საქართველოს არც ერთი კუთხე ისე არ ყოფილა ჩამორჩენილი სამკურნალო დარგში, როგორც აჭარა. ეს ისტორიული კუთხე საქართველოსი ყოველთვის მივიწყებული იყო; მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ბრალი თვით აჭარლებს მიუძღვით, ისინი თავიანთი მოლებისა და ხოჯების წყალობით ისე არიან ცრუ მორწმუნეობით გამსჭვალულნი, რომ ავადმყოფ აჭარელს ექიმი სახლში რომ მიუვიდეს იგინი მაინც სოფლის მკურნალ ქალებს მიმართავენ. მრავალი მაგალითი ყოფილა, რომ სრულიად უბრა-

## ტერენტი გრანელს

(ექსპრომტები შენს საღამოზე)

ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდი
სფინქსია დიდი,
და პირამიდი
ლორდსა კუზიანს
მიაქვს დიდ მზესთან.
ო, ბევრი დარჩა უნაპიროდა
გუშინ პრინცესა ცხარედ სტიროდა
სუსტი დაბალ ხმით,
ჩემი პრინცესა...
რუსთველის ქუდი სხვა კონუსია,
იმას არ უყვარს ხაზი ტეხილი
და არც მეხილე
კინტოს თაბახით...
დღეს მისტერიით დაიწვა ცხენი
სამეგრელოდან რაშებს ელიან
საკვირველია
შენს რუხ სახეზე დღე მოსაწყენი.
ო შენი გული გულად ყვაოდა
ტფილისის გული ქალს მიაქვს ბაღში,
დღეს დედაშენი წალენჯიხაში
ხშირად ამოდის სასაფლაოდან.
სტირის: დავკარგე პატარა ბავში,
დედი ნაცვალმა თუ მომარიდა.
ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდი
სასაფლაოა,
დაპირამიდი
აზიდა მთვარემ.
მეორე ქრისტე წამებას ზრდიდა
დღეს გამოგზავნა სისხლის სამარემ.

პ. ხეთელი.

## შემოდგომა

ტყვის ფერ ფიქრში ჩაიმსხვრევა სექტემბრის რუქა,
ოქროს ხატებათ სათუთ გულში გადმონერგილი;
ცრემლად დადნება ოქტომბერი, როგორც პატრუქი,
დავრჩები ობლად—პარტახეთში, ვით განდეგილი!

გლოვით იტყვიან სულთათანას მწუხრზე წეროხი,
ამედევნება ფიქრი სევდის ღიმში ხვეული;
დაექადება რისხვის ცეცხლით ბედს ვით ნერონი
განდეგილობა სიჯიუტით გამოწვეული!

წყევით შევრისხავ ბრბოთ სამყაროს, ვით მიზანტროპი,
ზიზღით ჩავქოლავ მონა მოძმის ხვეწნა მუდარას,
ხანგრძლივ გოდებით სალკლდეთ ქმნილი, ცრემლ შენაშრომი,
ზრახვათ იალქანს შემოვახვევ ზამთრის სუდარას!

ნეტარი წამიც ოაზისათ შავდღეთ ფერხულში,
შესძლებს დაიპყრას კაცვფენილი გზა ასპარეზად;
ფიქრი წარსულის შეკრას კონად, ჩამარხოს გულში
და სულის ფრთებზე აღავლინოს უკვდავ ტრაპეზად.

მის არსებობას იგრძნობს მხოლოდ ყარიბის გული,
განსაცდელის ჟამს მას ნუგეშით მოინახულებს;
შიგ სილამაზე მგოსნის სევდით შემოსალტული,
შავ დღეთა სვლაში მოგონებით იგაზაფხულებს.

მ. უზნაძე.

## ექსპრომტი

როცა შევსცქერ შენ შავ თვალებს
ვნების ცეცხლით განათებულს—
ორ ღრმა უფსკრულს მომაგონებს
ეშმაკებით ამოვსებულს.

ხატო მგელაძე.

## „დახეული რვეული“-დან

1. გოდება.

მოხელე ვარ უფერული, შესაბრალები;
სტუდენტობას, ძმაო ჩემო, მე ვემალები!
ამაო პროფესორთა დარიგებები,—
ვერ გვშველიან უსიცოცხლო ჩვენი კრებები!.
სადღა არის, ჩემო დედა, შვილი სწავლული?
გული კვდება დაღარული და მოწამლული!
მოხელე ვარ უფერული, შესაბრალები,—
სტუდენტობას, ძმაო ჩემო, მე ვემალები!,,

სევ. ჭიჭინაძე.

## ჩემი ვედრება

შენ გევედრები, უფალო, წმინდა მკერდითა სველითა:
დამაგვირგვინე მე, მუშა, მიზნითა სანატრელითა,
რისთვისაც აქამდე ვიბრძვი დღე და ღამ ოფლით ცხელითა.
პირობა გაქვის ჩემთანა ნათქვამი პირით შენითა.
გადმოდი კიდეც მაკურთხე შენის მადლიან ხელითა;
გონება გამსჭვალულია, ღმერთო, შენისა რჩევითა.
ამაყობს სისპეტაკესა სიბილწის მძლედ მორევითა...
თვალთა დაღალეს ხმელეთი აზრთა ისარის სრევითა;
ენამ დალალა ფოლადი მტრისა კრითა და ქნევითა;
სულმა დაგლიჯა მთლად ლეში სამოთხისაკენ წევითა.
ლამის დავსუსტდე გებრძოლი ამპირისა ქცევითა,
გული აპირობს მდუღვასა სათხოვრის ვერ მიხწევითა.
მათავისუფლე სამუდმოდ ამდენის სატანჯელითა;
მამე ძალღონე—გავწყვიტო ხსენება დამჩაგვრელისა;
კაცობრიობას, ეშველოს ჩემისა გამოჩენითა;
არ დამელალოს მუხლები უნაყოფოსა თრევითა.

შალვა.

33. ეზოები, გასასვლელები და ბოდვილები ცალკე შენობებს შორის არ უნდა იყოს მოცული სხვა და სხვა საგნებით და მასალით.

შეშის ან სხვა საჭირო საგნების საწყობები ისე უნდა იყოს მოთავსებული, რომ საწყობებსა და სხვა შენობების შორის დარჩენილი იყოს გასავლელი გზა სიგანით არა ნაკლები 4 საჟენისა.

VII. ცეცხლის მქრობი რაზმები და გუნდები.

34. დარაჯების და მუშების საკმაო რიცხვი უნდა იცნობდნენ ცეცხლის ქრობის საშუალებებს და წესებს. მათი შესაფერი მომზადება ხანგამოშვებით უნდა შეამოწმოს ხოლმე ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგემ, ხოლო სახანძრო ინსპექცია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა ატარებს ხოლმე მოულოდნელ განგაშს ზამთარ-ზაფხულ პირთა მომზადების შესამოწმებლად ცეცხლის ქრობის საქმეში.

35. სახანძრო ინვენტარის შესანახათ უნდა შეძენილი იქნეს მოხსენებულ ადგილზე მდებარე და ადვილად ხელმისაწვდომი ბინა, სადაც იქნება შესაფერი მოწყობილება სახანძრო სახელურების მოვლისათვის და სახანძრო საბარგულის სწრაფად გამოყვანისათვის.

36. თუ შ. ს. ს. კომისარიატის კომუნალური განყოფილებასთან არსებული ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის დადგენილებით საჭიროთ ცნობილი იქნება წარმოებაში საკუთარი ცეცხლის მქრობი რაზმის დაარსება, ასეთი რაზმი უნდა დაარსდეს სათანადო შემადგენლობით და საჭირო ინვენტარებით და ხელსაწყობით.

აღნიშნულ რაზმს უნდა ასწავლოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს შ. ს. ს. კ. ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის მიერ დანიშნულმა პირმა.

37 თითოეულ წარმოებაში უნდა შემოღებულ იქნეს წიგნი სადაც უნდა იწიწერებოდეს ცეცხლისაგან დაცვის ინსპექციის დათვალიერება, შენიშვნები და მოთხოვნილებანი, ცნობები ხანძარის შესახებ, ცეცხლის საწინააღმდეგო მანქანების და სხვა მოწყობილობის პერიოდულად გასინჯვის და სხ. ამ წიგნის წარმოება ევალება ამ დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნულ პირს.

38. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ზომების განხორციელებას სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოო დაწესებულებანი უნდა შეუდგნენ დაუყონებლივ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ.

39. თუ ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ სავალდებულო წესების განხორციელებას შეუძლია გამოიწვიოს წარმოების შეჩერება ან სხვა სიძნელე, საწარმოო დაწესებულებათა მეპატრონეებს და მოიჯარადრეებს ნება ეძლევათ აღძრან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან არსებული ცეცხლისაგან დაცვის ნაწილის წინაშე შუამდგომლობა, რათა ამა თუ იმ წარმოებისათვის ნება დართული იქნეს რაიმე გამონაკლისის დაშვება, ან გადადებული იქნეს სხვა დროისათვის ამა თუ იმ ჟურნალი ზომის განხორციელება.

40 ყველა ახლად გახსნილი ფაბრიკა, მათ გახსნამდე უნდა დათვალიერებული იყვეს საგანგებოთ დანიშნული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, ცეცხლისაგან დაცვის წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით, და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეს კომისია მოიწონებს წარმოებაში შემოღებულ ცეცხლის საწინააღმდეგო ზომებს, ფაბრიკასა და ქარხნებს შეუძლია მუშაობის დაწყება.

41. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

იკომუნალური განყოფილების გამგე ნანეიშვილი

ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორის მოადგილე ი. მახხი.

„9" დეკემბერი 1922 წ.

ქ. ტფილისი.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი მ. შონია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ჟღრმესად დამწუხარებულნი ამხანაგები: გრ. გიორგაძე ნიკ. იმნაიშვილი, ქ. ნინიძე, ილია ფირცხალაიშვილი, გრმალონ კალაძე, თეიმურაზ ჭელიძე, ვარლამ შერვაშიძე, აპოლონ სულაქველიძე და ილია კოპალეიშვილი აუწყებენ საზოგადოებას რომ 13 დეკემბერს საღამოს 4 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და ძვირფასი ამხანაგი

## მუხრან ხოჭოლავა

დაკრძალვა მოხდება კვირას, 17 დეკემბერს ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება დილის 12 საათზე—ყორღანოვის ქუჩა № 16.

37

დეკემბერის 13 ს საღამოს 4 საათზე ქ. ტფილისში გარდაიცვალა

## მუხრან ხოჭოლავა

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობათა ერთი ნაწილი. დაკრძალვა მოხდება კვირას, დეკემბრის 17 ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 12 საათზე—ყორღანოვის ქუჩა № 16.

37

დეკემბრის 13-ს, საღამოს 4-ს საათზე, ქ. ტფილისში გარდაიცვალა

## მუხრან ხოჭოლავა

რასაც მისი მეგობრები და ნათესავები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 17 დეკემბერს, დილის 12 საათზე ყორღანოვის ქუჩიდან სახ № 16.

3—3

## საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოდ, რომ იმ პირთ, ვინც გადაიცილა ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადაიხადონ ქართული ბონებით ამ წლის ოცდა ათ დეკემბრამდე. ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა № 61 თარიღით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასვლის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

4—1 209 სახალხო ბანკის გამგეობა.

## შეჯიბრება

### ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების რკინის გზათა სამმართველოსაგან.

ამით ცხადდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1, ოთახი № 44) 1922 წ. 20 დეკემბერს საქართველოს რკინის გზებზე

### ბათომ-ფოთი და კახეთის ხაზიდან სალოღლამდე და სანაინამდე, და ა. წ. 25 დეკემბერს აზერბეიჯანის რკინის გზებზე სალოღლიდან არამლიანსკის სადგურამდე დანიშნულია

შეჯიბრება ტვირთზიდვის—დატვირთვის გადმოტვირთვის, ხელახალი დატვირთვის სამუშაოების და ბარგის და ტვირთების

**დაცვის და მგზავრების სამსახურისათვის მუშების (насильщик) დაქირავების იჯარით გაცემა 1 იანვრიდან 1923 წ. 31 დეკემბრამდე.**

ის პირები, რომელთაც სურთ აღნიშნულ სამუშაოების აღება, აძლევენ ამის შესახებ წერილებითი განცხადების დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შეჯიბრებისათვის ტვირთზიდვის სამუშაოების იჯარით ასაღებად".

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა საქართველოსათვის თავდება 1922 წ. 20 დეკემბერს, აზერბეიჯანისათვის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე.

განცხადებებში შეჯიბრებაში მონაწილეს სახელის, მამის სახელის და გვარის გარდა უნდა იქნას აღნიშნული ასაღებ სამუშაოს ყოველგვარი პირობები და მათი გვარები.

ხელშეკრულების დადების დროს აღნიშნულ სამუშაოების კეთილსინდისიერად წარმოების და ტვირთების დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დამდებმა უნდა შეიტანოს საწინდარი საქართველოსათვის—2,000,000,000 (ორი მილიარდი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით), ხოლო აზერბეიჯანისათვის—15,000,000,000 მან. (თხუთმეტი მილიარდი მანეთი, აზერბეიჯანის ფულის ნიშნებით), ან სათანადო ვალუტა კურსის მიხედვით).

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ქვითარი წინასწარი საწინდარის 20 პროცენტის შეტანის შესახებ.

საწინდარი იმ პირთა, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაოები ეკონომიური ნაწილში ქვითარის წარდგენისთანავე დაუყონებლივ დაუბრუნდება ათ უკანვე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიური ნაწილში საქონელ სადგურის განყოფილებაში ოთახი № 60 ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

4—1 სამმართველო

## სავალდებულო დადგენილება

### ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ბიბლიოთეკა

(გადასახადთა ბიურო).

№ 3.

8 დეკემბერი 1922 წ. ქ. ტფილისი.

მიმდინარე 1923 წლის ვაჭრობის უფლების ნებართვის გაცემის მოსაწესრიგებლად და ყოველ-გვარის სახის ვაჭრობის სწორი რეგისტრაციისათვის, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აძლევს შემდეგ წესს:

§ 1) ქალ. ტფილისის ფარგლებში მყოფი ყოველგვარი სავაჭრო სამრეწველო და სახელოსნო წარმოების მეპატრონენი მიუხედავად იმისა მეპატრონეებად ითვლებიან კერძო პირები თუ სახელმწიფო, სამხედრო ან საზოგადო ორგანიზაციები ვალდებული არიან გატარდნენ რეგისტრაციაში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიუროში და მიიღონ ვაჭრობის უფლების ნებართვა.

§ 2) ყველა სავაჭრო სამრეწველო და სახელოსნო წარმოების მეპატრონე განცხადების ბლანკს იღებს აღმასკომის გადასახადთა ბიუროს აგენტთან და იხდის მასზე ხუთი ათას მანეთს, მთხოვნელს შეაქვს განცხადების ბლანკში საჭირო ცნობა და ყოველივე გადასახადის გასწორების შემდეგ იგივე აგენტი აძლევს შესაფერ ცნობებს განცხადების ბლანკზე, შემდეგ განცხადებას უდგენს ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს ოთახი (№ 50 მე-3 სართული). გადასახადთა ბიუროს გამგის განკარგულებით ვაჭრობის ნებართვა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვისაც ყოველივე ქალაქის ანგარიში 1922 წ. 31 დეკემბრამდის გასწორებული აქვთ.

შენიშვნა: 1) ვალდებულია გადასახადთა ბიუროს აგენტები სასტიკად დაიცვან ამა დადგენილების მე 2 მუხლი.

შენიშვნა: 2) იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პირი ვაჭრობს სურსათ-სანოვაგით, სანამდის გადასახადთა ბიუროს წარუდგენდეს ამ განცხადებას, უნდა აგზავნოს რაიონულ სანიტარულ ექიმს დასკვნისათვის.

§ 3) აღმასრულებელ კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს ევალება გასცეს სათანადო განკარგულება რაიონულ სანიტარულ ექიმთა მიმართ, რათა ისინი აწარმოებდნენ საჭირო დასკვნას სისწორით და სისწრაფით.

§ 4) ვაჭრობის ნებართვა არ მიეცემათ არც ერთ მოქალაქეს, რომელიც აწარმოებენ ვაჭრობას ეზოს შესავალში, კიბეების ქვეშ და ფარდულებში, გარდა საბადო აუდგილებისა.

§ 5) ქალ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსს ევალება:

1) 28 იანვარს გასინჯულ იქმნას ყველა სამიქალაქო და სამხედრო სავაჭრო სამრეწველოები და სახელოსნოები, სადაც არ აღმოჩნდება გადასახადთა ბიუროს მიერ გაცემული ვაჭრობა—წარმოების ნებართვა, დაუყონებლივ დაბეჭდოს და ამის შესახებ აცნობოს გადასახადთა ბიუროს.

2) ლიკვიდაცია უყოს ამა დადგენილების მე 4 მუხლში ნაჩვენებ სავაჭრო ადგილებს.

3) მეეტლეებს, მეურმეებს და ფეხზე მოვაჭრეთა მიმართ მიღებულ იქმნას ოქმის შედგენასთან ერთად დაპატიმრებაც.

§ 6) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი მოქალაქენი დასჯილი იქნებიან ადმინისტრატიულ წესით—ორი თვით ციხეში დაპატიმრებით, ან 20,000,000 მანეთის ჯარიმის გადახდევინებით.

### გადასახადთა ბიუროს რაიონული აგენტების მისამართი:

| | | |
|---|---|---|
| 1 | უბანი | კანტორა ვერის დამართი. |
| 2—3 | „ | „ გრაფის ქ. № 14. |
| 4—5 | „ | „ თათრის მოედანი. |
| 6—7 | „ | „ ნუნუფარაოვის ბაზარი. |
| 8—9 | „ | „ ელისაბედის ქ. № 10 |
| 10—11—12 | „ | „ ჩერქეზოვის ქ. № 87. |

### სანიტარულ ექიმების მისამართი:

| | | |
|---|---|---|
| 1—2 | რაიონში | არდაზიანი, მელიქოვის ქ. № 12. |
| 3—4 | „ | ტერ-დავითიანი ჩერქეზიშვილის ქ. № 34. |
| 5—6 | „ | ხატისოვი, ნიკოლოზის ქ. № 7 |
| 7—8 | „ | შენგელია, კახეთის ქ. № 2. |
| 9—11 | „ | ნათიშვილი, მანმანტის ქ. № 5. |
| 10—12 | „ | ვიფხვაძე, რაზეეს ქ. № 19. |

## დღე რეგისტრაციისა

| | | |
|---|---|---|
| 15 დეკემბერი | 5—საათიდან | აბანოები, აგურხანები, აფთიაქის სავაჭროები, აფთიაქის მაღაზიები, არაყის და სპირტის საწყობები: |
| 18 დეკემბერი | 5—საათიდან, | ბაქვები, ბამბის და მატყლის სავაჭროები, ბაყლები, ბეჭდის და შტემპელების სავაჭროები და ბითუმათ სხვა და სხვა საქონლის სავაჭროები. |
| 20 დეკემბერი | 5—საათიდან | გალანტერიის საქონლის სავაჭროები, გამომცემლები, გილზის პაპიროზის და ქაღალდების ფაბრიკა-სახელოსნოები, ბაღები, სადალაქოები და საპარიკმახეროები. |
| 22 დეკემბერი | 5—საათიდან | საზეინკლოები, სახარატოები, თამბაქოს მაღაზიები, ძველეულობით მოვაჭრენი. |
| 28 დეკემბერი | 5—საათიდან | თერძები, თესლებით სავაჭროები, თივის სავაჭროები, თუნუქის სახელოსნოები, იარაღის სახელოსნოები, |
| 30 დეკემბერი | 5—საათიდან | კალათების, ჩემოდნების და კალოშების სახელოსნოები, კამფეტების ქარხნები და სავაჭროები, სხვა და სხვა ეტლები და ბორბლების სახელოსნოები. კვერცხით მოვაჭრენი. |
| 5 იანვარი | 5—საათიდან | ელექტრონის, მექანიკური და წყალსადენის სახელოსნოები, მექუთმეები, მეჩექმეები, დამზადებული ფეხსაცმელის სახელოსნოები, ხარაზები და ფინაჩები. |
| 7 იანვარი | 5—საათიდან | მწვანეულობით მოვაჭრენი, მჭედლები, ნავთით და ხახშირით მოვაჭრენი, ოპტიკური მაღაზიები, კოოპერატივი, კუზის მაღაზიები, ლიმონათის ქარხნები, ლუდხანები, დამზადებულ ტანისამოსით მოვაჭრენი. |
| 12 იანვარი | 5—საათიდან | მეტლეები, მეღროგეები, მეურმეები, ხილის მაჭახქეები, ყველა ფეხზე მოვაჭრენი, ფეხსაცმლის მწმენდავები. |
| 15 იანვარი | 5—საათიდან | საკინძაო სახელოსნოების, ზეთით სავაჭროები, საკომისიო მაღაზიები, სამხედრო სამკაულთა სახელოსნოები და მაღაზიები სანთლის მაღაზიები. |
| 18 იანვარი | 5—საათიდან | სამრეცხაოები, სამღებროები, საპნით მოვაჭრენი, საკანცელარიო ნივთების მაღაზიები, სახერხი ქარხნები, დურგლები და ხუროები. |
| 19 იანვარი | 5—საათიდან | სტამბები, ლიტოგრაფიები, ტყავის მაღაზიები, ფოტოგრაფიები, ფურნე-თონე, და პურით ვაჭრობა. |
| 20 იანვარი | 5—საათიდან | ქუდებისა და შლიაპების სახელოსნო სავაჭროები, ქვის მთლელები, ქუსლების და კალაპოტების სახელოსნოები, ღვინის საწყობები. |
| 22 იანვარი | 5—საათიდან | ღვინო გასტრონომიული სავაჭროები, ყასბები და ყინულის გამყიდველები. |
| 23 იანვარი | 5—საათიდან | შორნიკები და მეუნაგირეები, შუშების და სარკეების სავაჭროები, ჩითქების მაღაზიები და სახელოსნოები, ხალიჩების მაღაზიები, ყავახანები და სარძევე სახაიები. |
| 24 იანვარი | 5—საათიდან | საწვრილმანოები, წიგნის მაღაზიები, წისქვილები, ცივი სასმელებით სავაჭროები, ძეხვების ქარხნები, თევზით მოვაჭრენი და სასტუმროები. |
| 25 იანვარი | 5—საათიდან | ყვავილების მაღაზიები, ელექტრონის სადგურები, წუმწუმების ქარხნები, შეშის საწყობები. |
| 26 იანვარი | 5—საათიდან | იუველირები და მესაათეები, პროექტორები, რესტორანები, სასადილოები, კლუბები და ბუფეტები. |
| 27 იანვარი | 5—საათიდან | ყველა დანარჩენი სავაჭროები და სახელოსნოები, რომლებიც ზემოთ არ არიან აღნიშნული. |

ტფილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილე მ. ბახიძე.

გადასახადთა ბიუროს გამგე თაყაიშვილი.

№ 211 3—1.

ტირაჟი 1000 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2,